

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოგიდგენთ მისამართზე, ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ. №60-ში მდებარე შპს „ეკოპეტროლის“-ს ნავთობსაცავების მოწყობის და ექსპლუატაციის კორექტირებულ სკრინინგის განცხადებას თქვენი წერილი N 21/4496-ში დასმული შენიშვნების გათვალისწინებით, ამასთან, გთხოვთ გააუქმოთ სააგენტოს № 3530 წერილით დაწყებული საქმის წარმოება.

პატივისცემით,

დირექტორი:

18.08.22

/მალხაზ საღირაშვილი/



შპს „ეკოპეტროლი“
ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია
(ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ.#60)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1. იურიდიული ასპექტები

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 51.01.58.036 ფუნქციონირებს შპს „ეკოპეტროლი“ ნაკვეთის და ავტოგასამართი სადგურის მფლობელთან, შპს „კამპანია“ - სთან 2020 წლის 08.07.-ს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების(დანართი 4 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) საფუძველზე. შპს „კამპანია“-ს ავტოგასამართ სადგურს 2016 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით საწარმოში ფუნქციონირებს ორი ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარი, კერძოდ, ბენზინისათვის 60მ³ მოცულობის და დიზელისათვის 24მ³ მოცულობით, ასევე ორი ავტოგასამართი სვეტი. რეზერვუარებს გააჩნიათ სასუნთქი სარქველები სიმაღლით 3,0 მეტრი, დიამეტრით 0,05მ.

მიმდინარე ეტაპზე, სამომხმარებლო ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით, შპს „ეკოპეტროლი“-ის მიერ დაიგეგმა ახალი რეზერვუარის მოწყობა ბენზინისათვის, მოცულობით 60მ³, არსებული რეზერვუარებიდან ბენზინისათვის გამოყენებული რეზერვუარი მოცულობით 60მ³ გამოყენებული იქნება დიზელის საწვავის მიღება-შენახვისათვის, ხოლო დიზელისათვის გამოყენებული რეზერვუარი მოცულობით 24მ³, გამოყენებული იქნება ბენზინის მიღება-შენახვისათვის. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის(დანართი II/6) შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა სკრინინგისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას განეკუთვნება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ეკოპეტროლი“-ს ნავთობსაცავების მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განხორციელებელი კომპანია	შპს „ეკოპეტროლი“
იურიდიული მისამართი	თბილისი, ქიზიყის ქ., N 40
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ. №60
საქმიანობის სახე	ნავთობსაცავის მოწყობა
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	405195845
ელექტრონული ფოსტა	sosogocadze@gmail.com
საკონტაქტო პირი	მალხაზ საღირაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 77 40 26 40
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. „BS Group“
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ. N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

2. საწარმოს მდებარეობა


საწარმოსათვის განპიროვნებული ტერიტორია მდებარეობს ქ. გურჯაანის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მისამართზე ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ. № 60. ტერიტორია ქალაქის ცენტრალური უბნიდან დიდი მანძილითაა დაშორებული. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 800კვ.მ.-ს. მანძილი საკადასტრო საზღვრიდან სარაჯიშვილის ქუჩამდე ტოლია 3 მეტრის, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდ. ახტალისხევამდე - 490 მეტრის. უახლოესი მოსახლე(ს/კ 51.01.58.312) ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 150 მეტრით. საწარმოს ზემოქმედების ზონაში ანალოგიური საწარმოები არ ფუნქციონირებს. ავტოგასამართი სადგურის მოსაზღვრედ, ჩრდილოეთის მხარეს(ს/კ 51.01.58.243) ფუნქციონირებს სამაცივრე მეურნეობა (შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტი“), სადაც ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვას. მიმდებარე ტერიტორიები წარმოდგენილია როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულების, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებით, სადაც განთავსებულია გურჯაანის მერიის დაგეგმვებარებაში არსებული ტერიტორიები და დაწესებულებები, ასევე ხორციელდება სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობები(ჯორჯიან გაზი, გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმო, საქართველოს მელიორაცია, გურჯაანის საკრებულო და სხვა). ნავთობსაცავების ტერიტორია შემოღობილია მავთულბადით, რეზერვუარების ლუქებისაგან თავისუფალი ტერიტორია დაფარულია გრუნტის ფენით, აღინიშნება მწირი მცენარეული საფარი ერთეული ბუჩქის სახით. დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი დაფარულია ბეტონის ფენით.

საწარმოს ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1, ხოლო ორთოფრტოზე (დანართი 2.1.) ასახულია საწარმოს მდებარეობა უახლოესი მოსახლის ჩვენებით.

ცხრილი 2.1.

№	X	Y
1	567802.8087	4622479.5336
2	567788.4309	4622497.4130
3	567821.0264	4622519.8556
4	567831.7513	4622505.8021

დაწარითი 2.1.



3. ინფორმაცია ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის შესახებ, სამუშაო რეჟიმი, წარმადობა

მიმდინარე ეტაპზე საწარმოს სხვა უძრავ ქონებასთან ერთად ექსპლუატაციაში იმყოფება ორი ლითონის მიწისქვეშა რეზერვუარი, ბენზინისათვის 60მ³ მოცულობის და დიზელისათვის 24მ³ მოცულობით, ასევე ორი ავტოგასამართი სვეტი, ერთ სვეტზე დიზელის ორი განქრევის მილით, ხოლო მეორე სვეტზე ბენზინის 6 განქრევის მილით. რეზერვუარებს გააჩნიათ სასუნთქი სარქველები სიმაღლით 3,0 მეტრი, დიამეტრით 0,05მ. ავტოგასამართი სვეტები მოქცეულია სახურავის ქვეშ, ასევე სახურავის ქვეშაა განთავსებული ერთკამერიანი, ხუფის მქონე სალექარი, რომელშიც პერიმეტრზე არსებული საწრეტი ღარის გავლით ტერიტორიის ზედაპირის კონფიგურაციის (დახრილობის) გათვალისწინებით ჩაედინება უნებლიეთ დაღვრილი საწვავი. საწარმოს ტერიტორიის ზედაპირი დაბეტონებულია, მოწყობილია ასეთი ტიპის საწარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მუშათა გასახდელი, სანიტარიული კვანძი, სახანძრო ინფრასტრუქტურა - ქაფწარმომქმნელი, ნიჩაბი, ქვიშის მარაგი. საწვავის მიღება ხდება ავტოცისტერნებით. დასაქმებულია 4 ადამიანი. სამუშაო რეჟიმი შეადგენს 365 დღეს, 24 საათიანი გრაფიკით.

განსახორციელებელი ცვლილებები: სარეალიზაციო საწვავის ასორტიმენტის გაზრდის მიზნით საწარმოს მიერ დაიგეგმა ახლი რეზერვუარის მოწყობა. ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფი რეზერვუარების რაოდენობა შეადგენს ორს, ბენზინისათვის 60მ³ მოცულობით და დიზელისათვის 24მ³ მოცულობით, ასევე ორი ავტოგასამართი სვეტი. აღნიშნულ რეზერვუარებს დაემატება ახალი მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარი ბენზინისათვის, მოცულობით 60მ³, ხოლო არსებული რეზერვუარებიდან 24მ³ მოცულობის რეზერვუარი გამოყენებული იქნება ბენზინისათვის, ხოლო 60მ³ მოცულობის რეზერვუარი - დიზელის საწვავისათვის. სვეტების რაოდენობა დარჩება უცვლელად, ერთ სვეტზე განთავსებული იქნება ორი განქრევის მილი დიზელისათვის, ხოლო მეორე სვეტზე - 6 განქრევის მილი ბენზინისათვის. ახალ რეზერვუარზე დამონტაჟებული იქნება 3 მეტრი სიმაღლის და 0,05მ. დიამეტრის განქრევის მილი. ავტოგასამართი სადგურის ყველა სხვა ინფრასტრუქტურა (ზემოდან გადახურული საოპერატორო მოედანი, სალექარი, ავტოგასამართი სვეტების და განქრევის მილების რაოდენობა და ფუნქციონალური დატვირთვა და სხვა) შენარჩუნდება.

საწარმოს გათვლებით დაგეგმილი წლიური ბრუნვა შეადგენს: ბენზინისათვის - 2000000ლ/წელი, დიზელისათვის - 2000000ლ/წელი.

საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა შეადგენს 1 ოპერაციას 7-8 დღის განმავლობაში.

ნავთობსაცავების ტერიტორიაზე აღინიშნება მწირი მცენარეული საფარი ერთეული ბუჩქის სახით. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი დაფარულია ბეტონის ფენით. ნავთობსაცავების ტერიტორია შემოღობილია მავთულბადით, რეზერვუარების ლუქებისაგან თავისუფალი ტერიტორია დაფარულია გრუნტის ფენით.

საწარმოში სამეურნეო მიზნებით წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს. სასმელი მიზნით წყლის გამოყენება ხორციელდება მეზობლად მდებარე (ს/კ 51.01.58.243) ტერიტორიაზე არსებული ქ. გურჯაანის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ჰიგიენური კვანძი საწარმოს ტერიტორიაზე არ არსებობს(დაგეგმილია ტერიტორიის მეპატრონის მიერ მისი მოწყობა, ვადები უცნობია). მიმდინარე ეტაპზე საწარმოში დასაქმებული ადამიანები სარგებლობენ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქ. გურჯაანის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე დაერთებული ჰიგიენური კვანძით.

საწარმოს ზემოქმედების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან დაცული ტერიტორიები არ მდებარეობენ.

ახალი რეზერვუარის მონტაჟისათვის ორმოს მოწყობის სამუშაოები განხორციელდება ბულდოზერის მუშაობით, გამოყენებული იქნება მცირე მასშტაბის შედუღებითი სამუშაოები

რეზერვუარის დაკავშირებისათვის ავტოგასამართ სვეტთან. მოწყობილი იქნება ე.წ. ბეტონის სარკოფაგი და ყველა მხრიდან ამოყენილი იქნება ქვიშის ფენით, ლუქისაგან თავისუფალი ფართობი დაიფარება მიწის ფენით. ხმაურის წყაროს წარმოადგენს ბულდოზერი, რომლის მუშაობა გაგრძელდება 3-4 დღის განმავლობაში. სამუშაოს ექნება არაინტენსიური ხასიათი. მიწის სამუშაოების წარმოების შედეგად ადგილი ექნება ფუჭი ქანების წარმოშობას მოცულობით 60-65მ³, რომელიც მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით განთავსდება მითითებულ ტერიტორიაზე. ნარჩენების დიდი რაოდენობით წარმოქმნას(შედულების ელექტროდების ნარჩენების, ლითონის ჯართის ნარჩენების ან სხვა ნარჩენების სახით) ადგილი არ ექნება.

4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება რეზერვუარის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე

4.1. რეზერვუარის მოწყობის ეტაპი

4.1.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოწვეულია ლითონთა შედულებისას ხელის შესადულებელი აპარატით ცალობითი ელექტროდებით(606H, 395/9, 981/15 და სხვ.) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებით. შესასრულებელი სამუშაოების მცირე მოცულობის(გამოყენებული ელექტროდების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 5 კგ-ს) და დროის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გათვლა მიზანშეუწონლად ჩაითვალა. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.2. ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედება

შესასრულებელი სამუშაოები ითვალისწინებს ისეთი სახის სამუშაოების წარმოებას, როდესაც ადგილი აქვს ფუჭი ქანების წარმოქმნას, ასევე ადგილი ექნება მცირე რაოდენობით შედულების ელექტროდების ნარჩენების წარმოქმნას, 0,1-0,3კგ.-ის ოდენობით. ფუჭი ქანები განთავსდება თბილისის მერიის მიერ მითითებულ ადგილზე, ხოლო ელექტროდების ნარჩენები გადაეცემა ასეთი სახის ნარჩენების მართვის უფლების მქონე კომპანიას. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.3. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

ზემოქმედება გამოწვეულია მცირე დროის განმავლობაში ბულდოზერის არაინტენსიური მუშაობით, ხელის შესადულებელი აპარატის და კუთხესახეხი მანქანის არაინტენსიური მუშაობისას წარმოქმნილი ხმაურით. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.4. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

ზემოქმედება გამოწვეულია ახალი რეზერვუარების ტრანსპორტირებით საწარმოს ტერიტორიაზე. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას. ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე 30კმ/სთ-ს ფარგლებში იქნება.

4.1.4. ზემოქმედება გარემოს სხვა კომპონენტებზე

ზემოქმედებას გარემოს ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა ზედაპირული წყლები, ნიადაგი და გრუნტის წყლები, ფლორა და ფაუნა, კუმულაციური ზემოქმედება, ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაპტურ გარემოზე - განხილვას არ დაექვემდებარა.

4.1.5. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ელექტროხელსაწყოების ექსპლუატაციის წესების დარღვევით, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, საკმაოდ მძიმე სახიფათო შედეგებით (ტრავმატიზმი, სიკვდილი). თუმცა ზემოქმედება არ განსხვავდება იმ რისკისაგან, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი სხვა საქმიანობისათვის, სადაც გამოყენებულია მსგავსი სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები. მკაცრად იქნება დაცული ელექტროხელსაწყოებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესები. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.2. ექსპლუატაციის ეტაპი

4.2.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

4.2.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ნაჯერი ნახშირწყალბადების სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ავტოგასამართი სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტის განქრევის მილები („პისტოლეტები“) და საწვავის შესანახი ავზების სასუნთქი სარქველები. ბენზინის უბანი წარმოდგენილი იქნება ორი რეზერვუარით და ერთი გამართვის სვეტით მასზე ექვსი განქრევის მილით, აღნიშნული უბანი განხილული იქნება ერთი გაფრქვევის წყაროდ, ხოლო დიზელის უბნის შემადგენლობაშია ერთი რეზერვუარი და ერთი გამართვის სვეტი, მასზე ორი განქრევის მილით, აღნიშნული უბანი ასევე წარმოდგენილია ერთი გაფრქვევის წყაროდ.

4.2.1.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები (მოცემულია ცხრილში 4.1.)

ცხრილი 4.1.

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	23,0°
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	-5,0°
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	4
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	6
- აღმოსავლეთი	16
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	10
- სამხრეთი	12
- სამხრეთ-დასავლეთი	22
- დასავლეთი	19
- ჩრდილო-დასავლეთი	11
ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის დამეტების გაგანმორადობა შეადგენს 5%-ს.	21,0

4.2.1.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

1. გაფრქვევების ანგარიში ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან (გ-1);

ბენზინის უბანზე არსებული ორი რეზერვუარი განიხილება ორი გაფრქვევის წყაროდ, ხოლო 8 „პისტოლეტი“ - ასევე ორი გაფრქვევის წყაროდ.

ლიტერატურული წყაროს[2] მიხედვით 1 ლიტრი ბენზინის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 1.4 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული ბენზინის რაოდენობაა 2000000ლიტრი), ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 2000000 \times 1.4/10^6 = 2,8 \text{ ტ/წელი.}$$

საწარმოს პირობების(365 სამუშაო დღე წელიწადში, 24 საათი დღე-ღამეში) გათვალისწინებით:

$$G = 2,8 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0888 \text{ გ/წმ}$$

2. გაფრქვევების ანგარიში დიზელის საწვავის სარეალიზაციო უბნიდან (გ-2);

დიზელის უბანზე არსებული ორი რეზერვუარი განიხილება ორი გაფრქვევის წყაროდ, ხოლო 8 „პისტოლეტი“ - ორი გაფრქვევის წყაროდ.

იმავე ლიტერატურული წყაროს მიხედვით 1 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0.0025 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული დიზელის საწვავის რაოდენობაა 2000000ლიტრი), დიზელის საწვავის რეალიზაციისას გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 2000000 \times 0.0025 / 10^6 = 0,005 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,005 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,00016 \text{ გ/წმ}$$

4.2.1.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ცხრილში 4.2)

ცხრილი 4.2.

წარმოები ს, სამქროს , უზნის დასახეულ ება	წყარ ოს ნომე რი	გაფრქვევა-გამოყოფის წყაროს		მაგნი ნეოთერებათ ა გაფრქვევის წყაროს მუშაობის დრო		მაგნი ნეოთერებათ ა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაეროვანი პარამეტრები ნარევის დამბინძურებელ ნეოთერებათა გამოსვლის ადგილას			აირჰაეროვანი პარამეტრები ნარევის დამბინძურებელ ნეოთერებათა გამოსვლის ადგილას		ატმოსფერულ დამბინძურებელ ნეოთერებათა გაფრქვევის სიმძლავრე		მაგნი ნეოთერებათ ა გაფრქვევის წყაროს კოორდინატებ	
		დასახელება	რაოდენობა	დღე-ღამე	წელიწადში	სიმაღლე, მ	დღიური ეტრი	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა, მ ³ /წმ	ტემპერატურა, °C	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა, მ ³ /წმ	მაქს.გ/წმ	ჯამური, ტ/წ	X	Y
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	
ავტოგასამართი სადგურ	გ-1	ბენზინის უზანი	4	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,0888	2,8	0	0	
	გ-2	დიზელის უზანი	1	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,00016	0,005	4	2	

4.2.1.5. ატმოსფერულჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი

ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობების და რაოდენობების დასადგენად გამოყენებული იქნა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს. მანქანური ანგარიშისას ზდკ-ს მნიშვნელობები განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში - საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 600მ x 600მ, ბიჯით - 100მ. ანალიზი განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო. ფონი აღებული იქნა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

გათვლები ჩატარებული იქნა:

1. საწარმოს მომიჯნავედ მდებარე სამაცივრე მეურნეობის საზღვარზე, რომელიც ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან დაშორებულია 12 მეტრით, კოორდინატებით X= -8მ; Y= 9მ;
2. საწარმოს დასავლეთის მხარეს მდებარე უახლოესი მოსახლის საზღვარზე, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 150 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 170 მეტრით, კოორდინატებით X = -169 მ, Y= 20მ.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.3.
ცხრილი 4.3.

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან	
		მომიჯნავედ მდებარე საწარმოს საზღვარზე 0-ვანი გაფრქვევის წყაროდან, კოორდინატებით X = -8 მ; Y=9მ.	170 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე 0-ვანი გაფრქვევის წყაროდან, კოორდინატებით X = -169 მ; Y = 20მ.
1	2	3	
ნაჯერი ნახშირწყალბადები	2754	0,89	0,09

წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია მეზობლად მდებარე საწარმოს და უახლოესი მოსახლის საზღვარზე არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.2.2. ნარჩენების წარმოქმნა

ოპერირებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების (საკვების ნარჩენები, ქალაქის და მუყაოს ნაჭრები, პოლიეთილენის პარკები, დამსხვრეული მინის და პლასტმასის ნარჩენები, ნამუშევარი და წუნდებული ვარვარის ნათურები და სხვ) – 2 მ³/წელ - ასეთი სახის ნარჩენები შეგროვდება ტერიტორიაზე არსებულ ურნაში და განთავსება მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ასევე სახიფათო ნარჩენები უნებლიედ დაღვრილი ნავთობპროდუქტების და გაზეთილი (ძონძი) სახით. სალექარიდან შეგროვებული ნავთობპროდუქტების და საწმენდი მასალის შენახვა მოხდება სპეციალურ რეზერვუარებში და შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

4.2.3. ხმაურის გავრცელება

საწარმოს ოპერირება არ ითვალისწინებს მაღალი ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების ექსპლუატაციას. ხმაურის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ელექტროძრავი, რომლის განთავსების ადგილისა და ძრავის ხმაურის დონის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება დაბალი დონის ზემოქმედებად განიხილება, რაც შეეხება ავტოტრანსპორტს - ავტოტრანსპორტის ტერიტორიაზე მოძრაობით გამოწვეული ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, საწარმოს მდებარეობის (კახეთის გზატკეცილი ტრანსპორტის მოძრაობის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება) გათვალისწინებით. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.2.4. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

ნავთობსაცავის/ავტოგასამართი სადგურის მოწყობის პირობების გათვალისწინებით, მათი ექსპლუატაციისას სანიაღვრე წყლების მასიურ წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ასევე ადგილი არ ექნება ნავთობპროდუქტების მასიურ დაღვრას.

ხანძრის შემთხვევაში მოქმედებაში მოვა ხანძრის პირველადი ქრობის ინვენტარი. გამოძახებული იქნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით საწარმოს ექსპლუატაციისას მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

4.2.5. ფაუნა და ფლორა

საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ამას გარდა, ნავთობსაცავების ტერიტორია შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილება გამორიცხულია. ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელი არაპირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან.

ექსპლუატაციის პირობებში ადგილი არ ექნება მაღალი ხმაურწარმომქმნელი წყაროს ან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გადაჭარბებას დადგენილ ნორმებთან.

თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის უკვე ადაპტირებულ პირობებს გამოწვეულს ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების გავლენით და ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, მათზე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

4.2.6. ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე

ავტოგასამართი სადგურზე დაგეგმილი ცვლილებები ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედებას არ მოახდენს.

4.2.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტის და ავტოსატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობის გათვალისწინებით, ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იყოს როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

4.2.8. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოს ზემოქმედების ზონაში ზედაპირული წყლის არ მდებარეობს.

4.2.9. სანიაღვრე წყლების გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება

სანიაღვრე წყლები წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით (ჩვენს შემთხვევაში) დაბინძურებულ ატმოსფერული ნალექების წყალს. ზემოქმედებით ადგილი აქვს ნიადაგის დაბინძურებას. ავტოგასამართ სადგურზე სანიაღვრე წყლის წარმოშობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უნებლიედ დაღვრილი საწვავის შერევით წვიმის წყალთან. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ ავტომანქანების საწვავით გამართვა მოხდება სახურავის ქვეშ განთავსებული საწვავის გასამართი

სვეტებიდან, წვიმის წყლის მოხვედრას საოპერატორო მოედანზე პრაქტიკულად ადგილი არ ექნება. სანიაღვრე წყლის მცირე რაოდენობით წარმოშობის შემთხვევაში მისი ჩადინება მოხდება არსებულ სალექარში, რის გამოც სანიაღვრე წყლის განვრცობა დანარჩენ ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ მოხდება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადგილი ექნება დაბინძურებული ნიადაგის დასაწყობებას სპეციალურ რეზერვუარებში, რომელიც შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ზემოქმედება განიხილება როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

4.2.10. კუმულაციური ზემოქმედება


ავტოგასამართი სადგურის ზემოქმედების ზონაში ანალოგიური ტიპის საწარმო არ ფუნქციონირებს. წარმოებული გათვლები და მიღებული შედეგები (პარაგრაფი 4.2.1.5), გვიჩვენებს, რომ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია უახლოესი საწარმოს და მოსახლის საზღვარზე არ აჭარბებს 1 ზდკ-ს მნიშვნელობას, გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ კუმულაციურ ეფექტს პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

დანართი 1, საწარმოს გენ-გეგმა მასზე მდებარე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით



საქართველოს ექსტრემიზმის საბრძოლველო
 საწარმო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
 საქალაქო მშენებ


განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010668962
 მოყის ნაკვეთის საკალაქო კოდი: 51 01 58 036
 მოყის ნაკვეთის ფართობი: 800 კვ.მ.
 ღანძრობის რეგისტრაციის სახელი: არასახორელო-საბრძოლველო



	შენიშნულია ადრინდელი ნივთიერების წყაროები		ღანძრობის წყაროები		საბრძოლველო წყაროები
	საწარმოს საკალაქო საზღვარი		შენიშნულია წყაროები		

AKTIVIZACIJA
 ЧТОБЫ АКТИВ
 ITM

დანართი 2, ორთოფოტო მანძილების ჩვენებით



დანართი 3, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის მანქანური ამონაბეჭდი

УПРЗА ЭКОЛОГ, версия 3.00

სერიული ნომერი 11-11-1111, D.M

დაწესებულების ნომერი 441; ეკოპეტროლი, გურჯაანი, სარაჯიშვილის 60 ქალაქი გურჯაანი

მრეწველობის დარგი: 11200 ნავთობის მრეწველობა

საწყისი მონაცემების ვარიანტი: 1, საწყისი მონაცემების ახალი ვარიანტი
განგარიშების ვარიანტი: 1, განგარიშების ახალი ვარიანტი
განგარიშება შესრულებულია ზაფხულისათვის
განგარიშების მოდული: "ОИД-86 სტანდარტული"
საანგარიშო მუდმივები: E1= 0.01, E2=0.01, E3=0.01, S=999999.99 კვ.კმ.

მეტეოროლოგიური პარამეტრები

ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	21° C
ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	-5° C
ატმოსფეროს სტრატოფიკაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული კოეფიციენტი, A	200
ქარის მაქსიმალური სიჩქარე მოცემული ტერიტორიისათვის (გადამეტების განმეორებადობა 5%-ის ფარგლებში)	21 მ/წმ

საწარმოს სტრუქტურა (მოედნები, საამქროები)

ნომერი	მოედნის (საამქროს) დასახელება
--------	-------------------------------

გაფრქვევის წყაროებიდან ნივთიერებების მიხედვით

აღრიცხვა:

"%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;

"+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;

"-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.

ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

1 - წერტილოვანი;

2 - ხაზოვანი;

3 - არაორგანიზებული;

4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;

5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;

6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;

7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;

8 - ავტომაგისტრალი.

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	1	1	+	0.0889000	1	0,9229	16,6512	0,5000	0,9229	16,6512	0,5000
0	0	2	1	+	0.0001600	1	0,0017	16,6512	0,5000	0,0017	16,6512	0,5000
ჯამურად:					0.0890600		0,9246			0,9246		

გაანგარიშება შესრულდა ნივთიერებათა მიხედვით (ჯამური ზემოქმედების ჯგუფების მიხედვით)

კოდი	ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია			*ზღვ-ს შესწორების კოეფიციენტი /საორ.უსაფრთხ	ფონური	
		ტიპი	საცნობარო მნიშვნელობა	ანგარიშში გამოყ. მნიშვნელობა		აღრიცხვა	ინტერპოლ
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	ზღვ მაქს/ერთჯ	1	1	1	არა	არა

საანგარიშო მეტეოპარამეტრების გადარჩევა
ავტომატური გადარჩევა

ქარის სიჩქარეთა გადარჩევა სრულდება ავტომატურად
ქარის მიმართულება

სექტორის დასაწყისი	სექტორის დასასრული	ქარის გადარჩევის ბიჯი
0	360	1

საანგარიშო არეალი

საანგარიშო მოედნები

ტიპი	მოედნის სრული აღწერა	მოედნის სრული აღწერა				სიგანე(მ)	ბიჯი(მ)		სიმაღლე(მ)	ტიპი
		შუა წერტილის კოორდინატები, I მხარე(მ)		შუა წერტილის კოორდინატები, II მხარე(მ)			X	Y		
		X	Y	X	Y		X	Y		
1	მიცემული	-600	0	600	0	1200	100	100	2	

განგარიშების შედეგები ნივთიერებების მიხედვით
(საანგარიშო წერტილები)

წერტილების ტიპები:


- 0 - მომხმარებლის საანგარიშო წერტილი
- 1 - წერტილი დაცვის ზონის საზღვარზე
- 2 - წერტილი საწარმოო ზონის საზღვარზე
- 3 - წერტილი სანიტარიული დაცვის ზონის საზღვარზე
- 4 - წერტილი დასახლებული ზონის საზღვარზე
- 5 - განაშენიანების საზღვარზე

№	კოორდ X(მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე (მ)	კონცენტრ (ზდკ-ის წილი)	ქარის მიმართულება	ქარის სიჩქარე	ფონი (ზდკ- ის წილი)	ფონი გმორიცხვამ დე	წერტილის ტიპი
---	---------------	------------	-------------	---------------------------	----------------------	---------------	------------------------	--------------------------	------------------

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

1	-8	9	2	0,89	138	0,50	0,000	0,000	0
2	-169	20	2	0,09	97	2,03	0,000	0,000	0

2754 ნაკერი ნახორცალბადები C12-C19



Объект: 421, екორთვი დოკუმენტი 00, ვარიანტი 1, ვარ რაიონი 1, პა 1 (0=20)
Масштаб 1:7600



პიქს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 51.01.58.036**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022295118 - 29/04/2022 19:18:00

მოწმადების თარიღი
10/05/2022 17:32:35

საკუთრების განყოფილება

ნონა გურჯაანი 51	სექტორი ქალაქი გურჯაანი 01	კვარტალი 58	ნაკვეთი 036	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო საშენენო დამუსტგებელი ფართობი: 800.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 51.01.03.011; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: NI შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართობი: 59.90
-------------------------------	-----------------------------------------	-----------------------	-----------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 51200000149' , თარიღი 16/03/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- დამადასტურებელი აქტი N32 , დამოწმების თარიღი: 25/06/1998 , გურჯაანის რაიონის გამგეობა
- მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი N16-70

მესაკუთრები:
შპს კაშპანია, ID ნომერი: 227720552

მესაკუთრე: ალწერა:
შპს კაშპანია

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019603183 თარიღი 25/07/2019 15:44:27

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ლიბერთი ბანკი" 203828304;
საგანი: დამუსტგებელი ფართობი: 800.00 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობანის ჩამონათვალი;

იპოთეკის ხელშეკრულება დამოწმების თარიღი 25/07/2019, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/07/2019 (უფლების რეგისტრაცია : ნომერი 882022295118) შეთანხმება HR-03-2022-1, რეესტრის ნომერი N220474786, დამოწმების თარიღი 28/04/2022, ნოტარიუსი ეკიმილაშვილი ,,

საგადასახლო გირავნობა:

- საგადასახლო გირავნობა/იპოთეკა: 102022024581 21/01/2022 13:56:45
შპს შპს კაშპანია ს/6 227720552
საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
საფუძველი: შეგუბინება, N042193, 21.01.2022, შემოსაღების სამსახური

სარეგისტრაციო

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020398572 თარიღი 08/07/2020 13:06:36

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/07/2020

ზოიარე: შპს "ეკომეტროლი" 405195845;

საგანი: ლაშქსტეხური ფართობი: 800.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: 2/1 შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართობი: 59.90 ; საბოლოო თარიღი: 08/07/2025;

ხელშეკრულება N30 (ავტორისამართი საღებურის იჯარით გადაცემის თაობაზე), რეგისტრის ნომერი N200421257, ლაშქსტეხის თარიღი: 08/07/2020, ნოტარიუსი ნ. კაკოჩაშვილი

ვალიდებულიება

ყალიბდა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

შობილეთა რეგისტრირება:

რეგისტრირებული არ არის

"ფინიკური პირის მიერ 2 წლამდე ვალიდ საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, ავტომატურად საგადასახლო წლის განმავლობაში 1000 ლარის სან შეგი ღირებულების ქონების სარეგისტრაციო მოცულობის საშემოსავლო გათვალისწინებით განისაზღვრება ვალდებულება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს რეკლამაციის საგადასახლო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახლო სამართლებრივ დავას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახლო კოდექსის 217 III თავის მიხედვით."

- * ლიკენციის საინფორმაციო განმარტება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფისით ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- * ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეროგოლოვლ სარეგისტრაციო საინფორმაციო ოფისის სასაგანსა და სააგენტოს ავტომატურად პირდაპირ;
- * ამონაწერში გვერდური მარგენის აღმოჩენის შემთხვევაში რეგისტრის ცხელ ხაზზე: 2 405 403 ან პირდაპირ შეახვედრება განსახალი ვებ-გვერდზე;
- * კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოფისის სასაგანს ცხელ ხაზზე 2 405 403;
- * საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მსრაღან უკანონო ქმედების შემთხვევაში რეგისტრის ცხელ ხაზზე: 05 009 009 09
- * თქვენთვის საინფორმაციო ნებისმიერ საკითხის დაკავშირებით მოგეწერეთ ელ. ფოსტით: info@napr.gov.ge